

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №23(85) 2014 წ. 16-31 დეკემბერი უახი 50 თეთრი



სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ახალი მანქანები



სსი ცენტრის განახლების მეორე ეტაპი ამ დღეებში დაიწყო. ავტომობილების გადაცემის ცერემონია თელავის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა. ღონისძიებას ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფროშაძე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი თეიმურაზ ხარაშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ირაკლი შილაშვილი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების რაიონული ცენტრის მენეჯერები დაესწრნენ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტს 3 ახალი სასწრაფო დახმარების მანქანა გადაეცა, როგორც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მენეჯერმა ზაზა ქელივიძემ განაცხადა, ძველი ავტომანქანები კარგა ხანია მწყობრიდან იყო გამოსული, დღევანდელი აქცია სწორედ, რომ დროულია, ახალი ავტომანქანებით შესაძლებელი იქნება სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის უფრო ეფექტური მუშაობა.

ლია კონტაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი



გომბორის სასწრაფო დახმარების მანქანა დაგორებაზე

წლის გმირები და ამბანები

მართლაც, რომ დიდად სასიხარულო და საიმედოა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ახალი მანქანების შემოტანა. მათ, ვისაც უნახავს საგარეჯოს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმთა გასაჭირი, ავტომანქანების მძღოლთა თავგანწირვა (დიახ, თავგანწირვა), ყველა გულით გაიხარებს. ახლა თუ მათი გამოძახება დასჭირდება, არც დიდხანს მოუწევთ ლოდინი (რადგან ხშირ შემთხვევაში მანქანა ფუჭდებოდა, ზოგჯერ ნაწილებიც სცივოდა ვზადავზა), არც „მივალკის“ შუქით მიუვათ ექიმი და არც „მიწოლა“ დასჭირდება შუა გზაზე „გაჯიუტებულ“ მანქანას და აღარც „დაგორებით“ დაქოქავს მძღოლი. არც იმის საშიშროება იქნება, ავადმყოფის ტრანსპორტირებისას (მით უმეტეს აღმართ-დაღმართში) მანქანის კარები გაიღება და ავადმყოფი საკაცინად გადაცურდება... აღარც ძრავის გამონახოლქვით „დაიდრნობა“ მედპერსონალი და ტრანსპორტირებული პაციენტი... აღარც სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახება იქნება საჭირო ერთბაშად აალებადი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანიდან მედპერსონალის გადმოყვანისა და ხანძრის ჩაქრობისათვის... ახლა აღარც ავადმყოფის მდგომარეობა დამძიმდება ტრანსპორტირებისას და აღარც ექიმს უსაყვედურებენ დავეიანებით გადაყვანაზე პაციენტის პატრონი – ყველაფერი ხომ საბოლოოდ მხოლოდ და მხოლოდ ექიმს ბრალდება?!

თუმცა, მანქანები შეიცვალა, იქნებ გომბორშიც შეიცვალოს, სადაც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მორიგე ბრიგადა უფალს ყოველდღე ეხვეწება – დამე გამოძახება არ იყოს, თორემ ჯერ ავტომანქანის დაქოქვა-დაგორება, შემდეგ პაციენტამდე მთა-გორებზე „მივალკისა“ და დანჯღრეული კარ-ფანჯრის იმედოდ, მისვლამართლაც მძიმე იქნება... ექიმებს მუშაობაში ხელისშესაწყობად საჭირო სამედიცინო ინვენტარი, მედიკამენტები სჭირდებათ, რაზედაც ალბათ სახელმწიფო კვლავ იზრუნებს...

ამ მანქანებმაც რაღა ახლა „მოგვისწრეს“, თორემ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის თითოეული წევრი „იმედის გმირებად“, წლის საუკეთესო „ამბანებად“ შეგვეძლო წარგვედგინა ტელე-არხ „იმედისათვის“. რატომაც არა?! მათ გმირობაზე და ამბანობაზე თავად მოსახლეობამ მითხრა, თუმცა, კარგი იქნებოდა ამ გმირებს თავად მე პირადად შევხვედროდი და გავსაუბრებოდი...

კარგია, როცა ცული 2014 წელს რჩება, ისინი ახლა იმედითა და უკეთესი მომავლის რწმენით აცილებენ ძველ წელსაც და ისტორიას აბარებენ თავიანთ დიდ გასაჭირსა და განსაცდელს, რომელთაც ისევ და ისევ თავიანთი პროფესიონალიზმითა და „ჰიპოკრატეს ფიცის“ ერთგულებით ფარავდნენ.

გილოცავთ ახალი ავტომობილების მიღებას.

თ. ილაშრო

ყურადღება

საბარჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს კონკურსს ყველა სამსახურის განყოფილების უფროსის, მთავარი სპეციალისტის, წამყვანი სპეციალისტის, ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობებზე.

გაპანსიები გამოთვალულია საჯარო სამსახურის ბიუჯეტის ფონდის საფუძველზე hr.gov.ge

გამოიწერეთ გაზეთი

„ბარჯოს მაცნე“

- 1 წლით - 12 ლარი
- 6 თვით - 6 ლარი
- 1 თვით - 1 ლარი

მუნიციპალური გვერდი

საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

28 ნოემბერი, 2014 წელი

საგარეო მუნიციპალური მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვიქტორ ბურდული უძღვევდა. მან საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას დღის წესრიგი გააცნო. დღის წესრიგის მიხედვით საკრებულოს მოხსენისა და კენჭისყრის შემდეგ საკრებულოს წევრებმა მოხსენის მოხსენებები (მომხსენებელი საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ალ. მეზერიშვილი), რომლებიც ეხებოდა საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის ივანე ბეჟიაშვილის თანამდებობიდან გადადგომას და ამავე ფრაქციის თავმჯდომარედ ივანე ქვიციანიშვილის არჩევას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გონა ჩერქეზიშვილის თანამდებობიდან გადადგომას, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სახელწოდების შეცვლას, საკრებულოს ფრაქციის „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის დავით არაბულის თანამდებობიდან გადადგომას, ამავე ფრაქციის თავმჯდომარედ გონა ჩერქეზიშვილის არჩევას, „საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას“, ასევე, საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას“. საკრებულომ მოსმენილი და განხილული საკითხების ირგვლივ მიიღო შესაბამისი დადგენილებები, რომელთა მიხედვითაც:

1. საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ივანე ბეჟიაშვილი** თანამდებობიდან გადადგა 2014 წლის 21 ნოემბრიდან.
2. ამავე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარედ 2014 წლის 21 ნოემბრიდან არჩეულია დეპუტატი **ივანე მჭირიშვილი**.
3. საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გონა ჩერქეზიშვილი** თანამდებობიდან გადადგა 2014 წლის 21 ნოემბრიდან (ამავე წლის 20 ნოემბრის პირადი განცხადების საფუძველზე).
4. საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №121 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შემდეგ კოალიციაში გაერთიანდნენ შემდეგი ფრაქციები:

1. ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორი“.
 2. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.
 3. ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი“.
 4. ფრაქცია „ქართული ოცნება-რუსული კავშირები“.
 5. ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარსენ საქართველოს“.
- (შეგახსენებთ, რომ ამა წლის 31 ოქტომბერს საკრებულოს სხდომის გადაწყვეტილებით შექმნილ ფრაქციათა კოალიციაში ვერ შევიდა ფრაქცია „ქართული ოცნება-რუსული კავშირები“ ფრაქციის სხდომის სათანადო ოქმის უქონლობის გამო. რაც შეეხება 31 ოქტომბრის საკრებულოს გადაწყვეტილებით ფრაქციათა კოალიციაში გაერთიანებული ფრაქცია „ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატები“, ფრაქციის სხდომის ოქმის საფუძველზე გამოეთიშა ფრაქციათა კოალიციას.)

5. საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატები“-მა შეიცვალა სახელწოდება. 2014 წლის 21 ნოემბრიდან აღნიშნული ფრაქცია დარეგისტრირდა „თავისუფალი დემოკრატების“ სახელწოდებით.
6. საკრებულოს ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარეობიდან 2014 წლის 26 ნოემბრიდან გადადგა დავით არაბული.
7. საკრებულოს ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარედ არჩეულია გონა ჩერქეზიშვილი 2014 წლის 26 ნოემბრიდან.
8. შეტანილია ცვლილება საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №28 დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც დამტკიცდა საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო: აპარატის უფროსი – 1050 ლარი, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე – 790 ლარი, სორგანიზაციო განყოფილების უფროსი – 810 ლარი, სორგანიზაციო განყოფილების უფროსი საჯარო თანამდებობის პირი – 790 ლარი, სორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი (საშტატო რაოდენობა 3) – 560 ლარი, სორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი - მძღლო - 560 ლარი, მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი – 810 ლარი, მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმის წარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი (საშტატო ერთეული - 4) – 560 ლარი.
9. შეტანილია ცვლილება საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა რეესტრის განსაზღვრის შესახებ“ საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №51 დადგენილებაში, რომლის მიხედ-



ვითაც საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და თანამდებობათა რეესტრი განისაზღვრა შემდეგნაირად:

საკრებულოს თავმჯდომარე – (თანამდებობრივი სარგო – 2650 ლარი);

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – 1700 ლარი;

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე – 1350 ლარი;

წამყვანი საჯარო თანამდებობა – საკრებულოს აპარატის უფროსი – 1050 ლარი;

უფროსი საჯარო თანამდებობა – განყოფილების უფროსი – 810 ლარი;

უფროსი საჯარო თანამდებობა – სორგანიზაციო განყოფილების უფროსი საჯარო თანამდებობის პირი – 790 ლარი;

უფროსი საჯარო თანამდებობა – საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე – 790 ლარი

უფროსი საჯარო თანამდებობა – მთავარი სპეციალისტი – 560 ლარი

უფროსი საჯარო თანამდებობა – სორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი-მძღლო - 560 ლარი

უმცროსი საჯარო თანამდებობა – წამყვანი სპეციალისტი – 530 ლარი

უფროსი საჯარო თანამდებობა – უფროსი სპეციალისტი 500 ლარი

უფროსი საჯარო თანამდებობა – სპეციალისტი – 475 ლარი;

10. ცვლილება შევიდა, ასევე „ საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნის დამტკიცების შესახებ“ საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №57 დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც დამტკიცებულ დანართს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-8 მუხლი:

„მუხლი 8. წამყვანი სპეციალისტი. წამყვანი სპეციალისტის დანართის I მუხლით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად მოეთხოვება: ა) საშუალო პროფესიული განათლება; ბ) უპირატესობა მიენიჭება სამუშაო გამოცდილებას; გ) მითითადი სოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office excel) სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით ცვლილებები შეტანილი „საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №29 დადგენილებაში. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების (№29) პირველი მუხლით დამტკიცებული საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით მე-14 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. (მუხლი 14. გამგეობის წარმომადგენლის მიერ ბუჯლის გამოყენების წესის შესახებ).

საგარეო მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგეობის წარმომადგენელს უფლება აქვს სამსახურებრივი ბუჯელი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ. კერძოდ, დაამოწმოს საგარეო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საქონლის ადგილწარმოების, პირის ან/და პირთა ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ცნობები“.

ხოლო ამავე დებულების 28 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„საგარეო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოების, პირის ან/და პირთა კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების; კონკრეტულ მისამართზე დროის გარკვეულ პერიოდში პირის ან/და პირთა ცხოვრების ფაქტის დადასტურების; კონკრეტულ მისამართზე დროის გარკვეულ პერიოდში პირის ან/და პირთა ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ცნობები“.

ხოლო ამავე დებულების 28-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„საგარეო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოების; კონკრეტულ მისამართზე დროის გარკვეულ პერიოდში პირის ან/და პირთა ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ცნობები“.

ან/და პირთა ცხოვრების ფაქტის დადასტურების; კონკრეტულ მისამართზე დროის გარკვეულ პერიოდში პირის ან/და პირთა ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ცნობების ფორმას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგეობელი ცნობა გაიცემა მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით“.

სხდომაზე საკითხის „საგარეო მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ვრცელი მოხსენება გააკეთა **საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო ჯვანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა ონგნატიძემ**.

საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის ბიორბი შურდიაშვილის მოხსენება შეეხო „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საგარეო მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ საკითხს. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სოფელ წყაროსთაში დაახლოებით 1200 ბენეფიციარს წყალი მიეწოდება გრაფიკით – 2-3 დღეში ერთხელ, რამდენიმე საათით. ზაფხულში წყლის დებეტის ნაკლებობის გამო უფრო მეტად უარესდება მათი სახმელი წყლით მომარაგების საკითხი. სოფლის მოსახლეობის საერთო კრების მოთხოვნითა და გადაწყვეტილებით პრიორიტეტულ საკითხად განიხილება სახმელი წყლით სოფლის მოსახლეობის, აგრეთვე ე.წ. „აჭარელების უბნის“ მოსახლეობისა და საჯარო სკოლის მომარაგების საკითხი. პროექტის საგარეო ღირებულება ლარში (გადასახადების ჩათვლით) შეადგენს 250000 ლარს. აღნიშნული პროექტის განხორციელებით მოეწევა ჰაბურდელი და შიდა ქსელი მოწყობილობა. პროექტი იქნება გრძელვადიანი – დაიწყება 2015 წლის 1 მაისს და დამთავრდება 2015 წლის 1 ნოემბერს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა საკრებულოს დეპუტატებმა. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რუსული კავშირები“ თავმჯდომარემ ბესო მარტიაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ საგარეო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა 2015 წელს ყურადღებას მთლიანად გადაიტანს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახმელი წყლის პრობლემების მოგვარებაზე. კარგია, თუ 2015 წლის პრიორიტეტულ საკითხად სახმელი წყლის სისტემის მოგვარება დაისახება, ამასთან საქმიანი შეხვედრები მოაწონ სოფლებში მცხოვრებ უხუცესებთან, მოისმინონ მეტი რჩევები, აიღონ კონსულტაციები სოფლებში არსებული წყაროების დასახსნაოებლად.

სხდომაზე მოხსენის **საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო ჯვანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის ნიკოლოზ ბუხარიაშვილის** მოხსენებები: „საგარეო მუნიციპალიტეტის სოფელ მანავში სახმელი წყლის შიდა ქსელისა და ცენტრალური მაგისტრალის აღსადგენად 100 მეტრი სიგრძის 100 მილიმეტრიანი პოლიეთილენის მილისა და სოფელ კაკაბეთის სახმელი წყლის აღსადგენად 60 მეტრი დ-200 მილიმეტრიანი პოლიეთილენის მილის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვის განხორციელების შესახებ“, „საგარეო მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგოშინდაში არსებული საბავშვო ბაღის დახიანებული სახურავის შეკეთების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ“, „საგარეო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტო-სასმარო სადგურის მქონე კომპანიიდან გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული 7040 ლიტრი საწვავის ევრო-რეგულარის გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ“. საკრებულოს წევრებმა აღნიშნული საკითხების მოსმენისა და განხილვის შემდეგ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

დეპუტატებმა, ასევე, მოხსენის საკრებულოს **სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის იმედილ ღუბინის** მოხსენება და საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №65 განკარგულებაში შეიტანა ცვლილება, რის მიხედვითაც ამავე კომისიის წევრად დეპუტატი ვანო ქარუმიძე დამტკიცდა.

ასევე, მოხსენის **საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის იმედილ ღუბინის** მოხსენება და საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №65 განკარგულებაში შეიტანა ცვლილება და ამავე კომისიის წევრად დეპუტატი ბესო მარტიაშვილი შეიყვანა.

საკრებულოს სხდომის დასასრულ ჩატარდა **საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა**. ფარული კენჭისყრის შემდეგ გაირკვა, რომ მასში მონაწილე 28-ვე დეპუტატმა ხმა **ივანე ბეჟიაშვილს** მისცა.

სახსიარულოა, რომ ეს პირველი ერთსულოვანი მხარდაჭერაა დღის წესრიგის მიხედვით დაყენებული საკითხის მიმართ ახლადარჩეული საკრებულოს მუშაობის ხუთთვიანი მუშაობის განმავლობაში.

მუნიციპალური ბიურო

საგარეო მუნიციპალიტეტის გაგებობა

იურიდიული სამსახურის პირთა დროებითი ფუნქციონირება: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და გაგებობის სამსახურების საქმიანობის სამართლებრივი მომსახურება, საჯარო ინფორმაციის რეგისტრის წარმოება, საჯარო ინფორმაციის პროცესში მონაწილეობა, საჯარო ინფორმაციის მისაწვდომობა

იურიდიული სამსახური

კახაბერ მარტოვაძე

იურიდიული სამსახურის უფროსი



საგარეო რაიონული განყოფილების გამომძიებელია. 2008 წლიდან დღემდე არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი

დაიბადა 1983 წლის 4 ოქტომბერს ქ. საგარეოში. 2001-2006 წლებში სწავლობდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის) ფილიალის იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა წარჩინების დიპლომით.

2005-2006 წლებში მუშაობდა შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს ადამიანის მკვლელობის, ჯანმრთელობის და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის თანაშემწედ;

2007 წელს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს

კახაბერ ხვთისაშვილი

დაიბადა 1987 წლის 8 აგვისტოს.

2005 წელს დაამთავრა საგარეოს №1 საშუალო სკოლა.

2012 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

2014 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მაგისტრატურა სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

უნივერსიტეტში სწავლის დროს იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი. მონაწილეობდა იდგება იმპირებული სასამართლო პროცესების ოლიმპიადებში.

2012 წელს ჩააბარა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა.

2013 წელს ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით.

2013 წლის ივნისში გაიარა „გაერო, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“-ს მიერ ორგანიზებული ტრენინგი „საკონსტიტუციო და თვითმმართველობის საფუძვლები, საჯარო სამსახური და ადმინისტრაციული წარმოება.“

2012 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე



გაიარა სტაჟირება საგარეოს რაიონულ სასამართლოში.

2013 წლის 11 აპრილიდან 2013 წლის 2 დეკემბრამდე მუშაობდა საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მთავარ სპეციალისტად.

2013 წლის 2 დეკემბრიდან 2014 წლის 8 აგვისტომდე მუშაობდა საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსად.

2014 წლის 8 აგვისტოდან დღემდე მუშაობს საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარ სპეციალისტად.

არის დასოფლებული. დაინტერესებულია საზოგადოებრივი ურთიერთობებით, რელიგიით, სპორტით.

ზურაბ უსტიაშვილი

დაიბადა 1988 წლის 11 ივნისს,

საგარეოს რაიონის სოფ. პატარძეულში.

განათლებლა

ქართული ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო, ოქტომბერი / 2011 - ივნისი / 2013 იურისტი,

სამართალი (სამოქალაქო კერძო) მაგისტრი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 2006 - ივნისი / 2010 იურისტი, იურიდიული ბაკალავრი

სამუშაო გამოცდილება იურიდიული სამსახურის მთ. სპეციალისტი, საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, 2014 წლიდან დღემდე.

თბილისელების ადვოკატი, თბილისის მეტროპოლიტენის განვითარების განვითარების ცენტრი, ოქტომბერი / 2013 - დეკემბერი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, აგვისტო / 2013 - აგვისტო / 2013 საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა, სერტიფიკატი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, აგვისტო / 2013 - აგვისტო / 2013 საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა, სერტიფიკატი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, აგვისტო / 2013 - აგვისტო / 2013 საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა, სერტიფიკატი



თამარ ბურბენიშვილი

დაიბადა 1973 წლის 22 ოქტომბერს.

1990 წელს დაამთავრა ყანდაღურის საშუალო სკოლა.

იმევე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1997 წელს დაამთავრა იმევე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2014 წლიდან დღემდე მუშაობს საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის იურისტად.

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.



აღნიშნეს ინვალიდთა სამართლის დღე

ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები მაგრად

„სიცოცხლე გეყურია?! ბრძოლაა საქირო“



3 დეკემბერი ინვალიდთა საერთაშორისო დღეა, რომელსაც ყველა ცივილიზებული სამყარო აღნიშნავს. ჩვენი ქვეყნის შშმ პირებიც შევეერთდით ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, რომელიც ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. რაიონში არსებულმა შშმ პირთა ორგანიზაციამ „სიცოცხლე გეყურია?! ბრძოლაა საქირო“ ჩავატარეთ ანალოგიური ღონისძიება საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მხარდაჭერით. მათ საამისოდ გამოგვიყვეს გარკვეული თანხა და ჩვენს გვერდში იდგნენ ღონისძიების დამთავრებამდე. დიდი მადლობა მათ ასეთი მხარდაჭერისთვის. მადლობა გამგეობის სოციალური სამსახურის თანამშრომლებს განსაკუთრებული მადლობა ქეთი ბედიასვილს, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ჩვენს საქმიანობაში.

მინდა უღრმესი მადლობა გადაუხადო ხაშმის მონასტრის მოძღვარს მამა მიქაელს, რომელმაც სანუქრად გადმოგვცა თაფლი. უღრმესი მადლობა მომღერალს, ჩვენს თანამემამულეს ირინა ბაირამაშვილს, რომელიც მობრძანდა ჩვენს ღონისძიებაზე და საგარეოს - საჯარო სკოლის მოსწავლესთან ერთად შეგვისრულა შესანიშნავი სიმღერა.

ნამდვილად გასახარია ჩვენთვის ახლადარჩეული საგარეოს საკრებულოს მხ-

არდაჭერა საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწემ შალვა კრიხელმა ბრძანა, ახლავე დაიწყოთ მომავალი ზემოთხსენებულ მხადება, სადაც მოწვეული გვეყოლება შშმ პირები.

ამ ღონისძიებამ დაგვანახა, რომ ჩვენს გარშემო უამრავი კეთილი ადამიანი ტრიალებს.

მაგრამ, აქვე მინდა გულისტკივილით აღვნიშნო ის ფაქტი, რომ უამრავი ისეთი ადამიანი შემოვიდა ჩვენს სფეროში, რომლებიც ვითომ და ჩვენს დასახმარებლად, სინამდვილეში ეს ის ხალხია, რომელთაც არ გააჩნიათ სიგარეტის ფული, არ გააჩნიათ მობილურ ტელეფონზე ჩასარიცხი თანხა და ინვალიდთა ხარჯზე გადაწყვეტეს ოჯახების რჩენა. ასე თუ გაგრძელდა, მერ-წმუნეთ, მალე იმდენი ინვალიდი არ იქნება, რამდენიც ორგანიზაცია. ყველას ვთხოვ, შეწყვიტონ ჩვენს საქმიანობაში უხეში ჩარევა, ჩვენ თუ დაგვჭირდა მათი დახმარება, ჩვენ თვითონ დაგუძახებთ. ვიცით, რომ ისინი ჩვენი სახელით აწუხებენ გამგეობას, სხვადასხვა ფონდებს დასახმარებლად და აკეთებენ პროექტებს, რომელშიც თავიანთი ოჯახის წევრებით არიან ჩაბმული და იღებენ ხელფასებს. ჩვენი ორგანიზაციის სტოგანია „სიცოცხლე გეყურია?! ბრძოლაა საქირო“.

არა ვარ მდაბიო, არა ვარ ცოდვილი ისე, უბრალოდ მკლავი მაქვს მოჭრილი, ფეხი მაქვს მოჭრილი, მეტი რა გითხრათ და სამყაროს მოვწყვი და სარეცელს მიმაჯაჭვა.

ნურავის გაგვიცხავთ თუ ბედმა გვიმუხთლა, დაეძლით გოლგოთა, ვიკმართო უკუსვლა.

მოდით და ერთმანეთს ხელები ჩავჭიდოთ სიცოცხლე გეყურია?! ბრძოლაა საქირო. ვიბრძოდით წესებით, ვინდ აზრი გაიყოს, მობრძანდით ზემოთხსენებულ მამა ხარ თუ დაიკო.

სულიკო ჭამალაშვილი, შშმ საგარეოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

გამგეობის წევრები მამა ახლამაზიშვილი, ნანა გუზარიაშვილი, პირობი ღრეული

განაკვეთილი თემის და სოფლის ტენტიდან მუნიციპალიტეტის ტენტირადა (კმ)

სოფელი ბოგდანოვკა - 29	ბოტკო - 69
გიორგიწმინდის თემი:	გორანა - 70
გიორგიწმინდა - 5.6	იკელი გორანა - 72
ანთოკი - 7.5	ოთარანთ კარი - 80
მარიამჯვარი - 8.5	სასადილო - 62
გომბორის თემი:	ხინტეტი - 74
გომბორი - 65	სოფ. კრასნოგორსკი (სათაფლე) - 28
ასკილაური - 62	ლამბალო - 36
ვაშლიანი - 75	მანავის თემი:
ვერონა - 70	მანავი - 14
რუსიანი - 69	ბურდიანი - 21
დუზაგრამის თემი:	სოფ. ნინოწმინდა - 3.5
დუზაგრამა - 37	სოფ. წყაროსთავი - 5.3
პაღლო - 38.5	სოფ. პატარძეული - 9
წიწმატიანი - 38.5	სოფ. უდაბნო - 40
სოფ. თოხლიაური - 12	უჯარმის თემი:
თულარის თემი:	უჯარმა - 40
თულარი - 38	პაღლო - 47
კახლარი - 43	ვანდაურის თემი:
იორმულანოს თემი:	ვანდაურა - 27
იორმულანო - 36	ზემო ვანდაურა - 34
ქეშალო - 40	სოფ. ბადიაური - 24
სოფ. კაკაბეთი - 20	სოფ. შიბლანი - 35.2
სოფ. ვერხვიანი - 26	სოფ. დიდი ჩაილური - 15
კოჭბანის თემი:	სოფ. პატარა ჩაილური - 20
კოჭბანი - 65	სოფ. ხაშმი - 19

ანგარიშს აბარებს გამგებლის წარმომადგენელი სოფელში სათაფლვე (პრასნაბორსკი)



ემზარ ბორბილაძე

სოფელი სათაფლვე სულ 28 კილომეტრითაა რაიონულ ცენტრს დაცილებული. ერთხანს, გასული საუკუნის დასაწყისიდან აქ ხალხმრავლობაც იყო და ამიერკავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტსაც წარმოადგენდა. აქ ძირითადად რუსეთიდან გადმოსახლებული ოჯახები ცხოვრობდნენ, რომლებსაც შრომა ნამდვილად არ ეხარებოდათ. აქ, შავიწიფი, ნოყიერ ადგილას ითესებოდა მარცვლოვანი კულტურები, აქაურები მემინდვრობასთან ერთად მეცხოველეობასაც მისდევდნენ. სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე მეტად მეფურცეობა ამ სოფელში იყო განვითარებული. მისი ძველი სახელიც „ახამბურიც“ ხომ არაბულად თაფლის მდინარეს ნიშნავს. შემდეგ მალხაზოვკა ეწოდა, მალხაზ ანდრონიკაშვილის – ამ მიწების მესაკრობის პატივსაცემად, ერთი პერიოდი კი კრასნაგორსკი უწოდეს – აქ წითელი არმიის ბრძოლა აკონტროლებდნენ თბილისის მახრდიდან თელავისკენ მიმავალ საფოსტო ეტლებს. ორიოდე წლის წინ სოფელი გაიფიქრა უწოდეს – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით. თუმცა, სიმართლე ეტყობა, რა მნიშვნელობა აქვს სოფელს რა ეტყობა, თუ იქ ადამიანისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობები არ იქნება?

სოფელში, სადაც ელემენტარულად არ არის სასოფლო მალაზია, სადაც ყოველდღიური მოთხოვნილებების საგნები გაიფიქრა, სადაც მოსახლეობა ყოველდღიურად ვერ მარაგდება სასმელი წყლით, არ არის საბავშვო ბაღი, დაწყებითი განათლების საფეხურის სკოლა, სადაც ყოველწლიურად მცირეწლოვანი ბავშვებით ოჯახები თავს ხართიჭალასა და რუსთავს, ან სხვა რაიონებს აფარებენ, მწელია მშვიდად ისაუბროს მიგრაციის პრობლემების მოგვარებაზე.

სულ ორიოდე თვეა, რაც სოფელ სათაფლვეში გამგებლის წარმომადგენელად ემზარ ბორბილაძე დაინიშნა. მან კარგად იცის ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული სოფლის დღევანდელი გასაჭირი, ის პრობლემები, რაც მათ აწუხებს – ორი წელია რაც ემზარ ბორბილაძე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის წევრი და აქტივის კოორდინატორია. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა მოსამზადებელ პერიოდში ხვდებოდა იგი თავის თანამებრძოლებთან ერთად მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ისმენდა მათ პრობლემებს, წინადადებებს, მათთან ერთად ხეწდა პრიორიტეტულ საკითხებს...

ამდენად, იგი სათაფლვის მოსახლეობის იმ გასაჭირს იცნობს კარგად, რაც მათ ბოლო 20-25 წელიწადია აწუხებს – სასმელი წყლის დეფიციტი, ელექტროენერჯის სუსტი ძაბვა, ბუნებრივი აირის უქონლობა მაშინ, როცა სულ უმნიშვნელო მანძილზეა მათგან დაშორებული გურჯაანის თელავისკენ გამავალი ბუნებრივი აირის ცენტრალური მილსადენი. უმუშევრობა, ბავშვებისა და მოხარბი თაობის საბავშვო ბაღისა და სკოლისგარეშე ყოფნა...



სოფლის შესასვლელი

დაიბადა 1972 წელს ხულოს რაიონის სოფელ სხალთაში; 1989 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1989-1991 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად; 1991 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა საბარჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში.

1996-98 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

1998-2002 წლებში არჩეული იყო საბარჯოს რაიონის საკრებულოს წევრად და შტაბში აქტიური მონაწილეობა.

1999 წელს დაამთავრა ძ. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და მეთეხიკური აღზრდის ფაკულტეტი;

ამჟამად არის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საბარჯოს რაიონული ორგანიზაციის წევრი და აქტივის კოორდინატორი.

2014 წლის სექტემბრიდან დაინიშნა საბარჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელად ტერიტორიულ ორგანო სათაფლვეში (პრასნაბორსკი).

აქ ბევრი სახლი დაიშალა და სამშენებლო მასალად გაიყვანა. ბევრია ბოკლომდებელიც... ახლად დანიშნულმა გამგებლის წარმომადგენელმა საუბარში იმდენად თქვა: – სოფლის გადკვირების მიზნით, მიგრაციის შესაჩერებლად ჩვენმა სახელმწიფომ გამოიწვია კეთილი ნება – ახლო მომავალში მთავრობისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებით შეიძლება შეისყიდოს სათაფლვეში საცხოვრებელი სახლები და აქ მრავალშვილიანი ოჯახები ჩაასახლოს, ამასთან ხელს შეუწყობს მათ ფერმერულ საქმიანობას და საერთოდ, ბევრი სიკეთეა ისეთი დასახული, რომელიც მხოლოდ აქაური მოსახლეობის მიგრაციას არ შეაჩერებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ აქ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისა და დაწყებითი განათლების სკოლის გახსნის შესახებ.

მანამდე კი სოფელი სასმელი წყლის დეფიციტს განიცდიდა. აქ სასმელი წყალი იმ მაგისტრალიდან მოეწოდება, რომელიც სოფელ ბოტკოდან თვითდინებით უდაბნომდე მიდის, მაგრამ ეს მომარაგება ხდება გარკვეული ინტერვალებით – 2-3 დღეში ერთხელ. ამიტომ, ვფიქრობთ, სამომავლოდ შეიძინოს წყლის რეზერვუარი, რომელიც დაიდგება სოფლის თავში, შეიყვება წყლით და გარკვეული გრაფიკით მიეწოდება სოფლის უბნებს. დღეისათვის აქ გასულ წელს გაკეთებული 4 საუბნო ონკანია, რომელსაც წყლს კიდევ ერთი დამატება – სოფლის ცენტრიდან მოშორებულ უბანში. 2011 წელს სოფლისათვის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სამარშრუტო ტაქსი შეიძინეს (5005 ლარი), რომელიც ახლა იმავე პროექტიდან (2014 წლის) მორჩენილი თანხით ბუნებრივ აირზე უნდა გადაიყვანოს. სამარშრუტო ტაქსი სოფლის მოსახლეობას თბილისისა და ხართიჭალის ბაზრებამდე გადასადგილებლად ეხმარება, სადაც აქაურები სოფლის მეურნეობის ნამეტ პროდუქტებს ჰყიდებიან. მარშრუტი კვირაში ორჯერ სრულდება.

უჭირს სოფელს, მაგრამ, მომავლის იმედითა და რწმენით ცხოვრობს. – გვეუბნება გამგებლის წარმომადგენელი.

აქ 44 ოჯახია 140 მოსახლით.

პოზიციიდან ოპოზიციისკენ ბოჩა ჩერქეზიშვილი: – „ოპოზიციის მოწინააღმდეგე პარტი ერთი პარტიის თვითმისანი არ არის“



როგორც ცნობილია კოალიცია „ქართული ოცნება“ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ დატოვეს და დღეს უკვე ოპოზიციაში არიან. ბუნებრივია ამას ადგილობრივი ორგანიზაციების დონეზე გარკვეული ცვლილებები მოჰყვა. თუ რა ცვლილებებს უნდა ველოდეთ ამ შემთხვევაში საგარეჯოელები, ვესაუბრებით **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარეს ბოჩა ჩერქეზიშვილს.**

– რამდენად ცნობილი გახდა, თქვენი პარტიის შესაბამისად საგარეჯოელებმა „თავისუფალმა დემოკრატებმა“ გადაწყვიტეს დამოუკიდებლად გააგრძელოთ პოლიტიკური საქმიანობა, თქვენი აზრით რამდენად ადეკვატურია ეს თქვენი ფრაქციისათვის?

– ვფიქრობ, შექმნილ მდგომარეობაში პარტიამ მიიღო სწორი გადაწყვეტილება – როცა ერთად ყოფნა არ გამოდის, ცივილიზებულად დაშორება სჯობს. ოპოზიციაში ყოფნა არც ერთი პარტიის მიზანი არ არის, პირიქით, პარტიები იბრძვიან ხელისუფლებაში მოსასვლელად. „თავისუფალმა დემოკრატებმა“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს 2012 წლის 1 ოქტომბრის გამარჯვებაში და საერთოდ, კოალიცია „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბებაში, მაგრამ ფაქტია, დღეს ოპოზიციაში ყოფნა გვიხდება, რაც რა თქმა უნდა, რთული პროცესია. საერთოდ, ყოფილი პარტნიორების ოპონირება მარტივი საქმე არ არის, როცა ერთობლივი საქმიანობა და მით უფრო ამ საქმიანობაში გარკვეული წარმატებები გაკავშირებს.

– თქვენ ცივილიზებულად დაშორება ახსენეთ. რამდენად ცივილიზებულად ხდება ეს პროცესი?

– დაშორება დაშორებაა, როგორც ცივილიზებულიც არ უნდა იყოს იგი, მაინც პრობლემებთან არის დაკავშირებული, მით უმეტეს პოლიტიკაში, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს სირთულეები დაიძლევა.

– კოალიციის დატოვების შემდეგ, როგორ გააგრძელებთ საქმიანობას საკრებულოში, რა გეგმები გაქვთ?

– საკრებულოში ჩვენი საქმიანობა ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება და ფრაქცია აქტიურად იქნება ჩართული საკრებულოს მუშაობაში. ბუნებრივია, გარკვეულწილად შეიცვლება აქცენტები, მაგრამ ძირითადად ჩვენ გაგრძელებთ იმ პროგრამის მიხედვით მუშაობას, რომლითაც არჩევნებში მივიღეთ მონაწილეობა... ვიმუშავებთ იმისათვის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება იყოს უფრო ეფექტური და კვალიფიციური, ვიდრე დღეს არის.

– ანუ, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ყველაფერ ამას ფრაქცია ოპონირების გზით შეუწყობს ხელს...

– ოპოზიციაში ყოფნა არ ნიშნავს მხოლოდ კრიტიკას. კრიტიკასთან ერთად საჭიროა ალტერნატიული გადაწყვეტილებების შეთავაზებაც. ერთია დისკუსია და ოპონირება ზოგადპოლიტიკურ თემებზე და მეო-

რეა იმ ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტა, რომელიც აწუხებს ჩვენს ამომრჩევლებს, მოსახლეობას. საჭიროა უფრო მეტი ეფექტურობა და იმ მწიფი ფინანსური რესურსების სწორი და მიზნობრივი გამოყენება, რომელიც გაგვანია. საიდუმლო არ არის, რომ ბიუჯეტი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს გაანია, მინიმალურადაც კი არ ჰყოფნის არსებული პრობლემების მოგვარებას. გადაუწყვეტელია სასმელი თუ სარწყავი წყლის პრობლემა, მოუწესრიგებელია გზები, რეალური დახმარება სჭირდება სოფლის მეურნეობას. ამ ჩამონათვალის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება, ბიუჯეტის შესაძლებლობები კი – შეზღუდულია. ეს მიმართულება იქნება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი, ბიუჯეტი უნდა იყოს გამჭვირვალე და თითოეული თეთრის გამოყენების შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს ამომრჩეველი.

– ხომ არ მიგანიათ, რომ მუნიციპალური ქონების და ეკონომიკურ საკითხთა კომისია, რომლის თავმჯდომარეც თქვენ ხართ საკრებულოში, ამ მიმართულებით ყველაზე მეტს უნდა მუშაობდეს?

– პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ კომისიის თავმჯდომარეობიდან ჩემი ნებით უკვე გადავდექი და ამ პოზიციას ალბათ უმრავლესობის რომელიმე წარმომადგენელი დაიკავებს. რაც შეეხება კომისიის საქმიანობას, შესაბამის სამსახურებთან ერთად ვმუშაობთ მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაციის საკითხებზე. 2015 წლის ბიუჯეტის პროექტზე და ა.შ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მიზანშეწონილად მიმანია მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება, არსებული რესურსების სწორი შეფასება, ეკონომიკური განვითარების კონკრეტული გეგმის დასახვა. ქაოსი, რაც დღევანდელია ახასიათებს, უნდა დამთავრდეს და საკრებულოს და პირველ რიგში გამგებობის, მისი შესაბამისი სამსახურების საქმიანობა ამ მიმართულებით უფრო გასაგები უნდა გახდეს ხალხისათვის, ხოლო თუ როგორ და რა გზებით განხორციელდება ეს, ყველაფერ ამას მომავალი დაგვანახებს.

შსპშრა
ბოჩო ჩერქეზიშვილი

სკოლაშვილი აღზრდის დანახვებზე


უჯარმაში



სკოლაშვილი აღზრდის მოქმედი დაწესებულება

ლაბაზ, დიდ და ნათელ ოთახში უჯარმელი თვალსაზრისით გოგო-ბიჭები იმ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამას გადიან, რომელიც სკოლაშვილი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელებს სკოლისათვის ამზადებს. თუმცა, უჯარმელეთან ერთად, აქ კოტბანელი გიორგი ქისტაურიცაა, რომელიც სოფელში ასეთი დაწესებულების არარსებობის გამო მშობლებს უჯარმაში დაჰყავთ. გიორგისთან ერთად კიდევ 12 აღსაზრდელი მოიხატარს ყოველდღე აქ, სადაც დიდი სიყვარულით ხვდებიან მენეჯერი მანანა აბურჯანია, აღმზრდელი მანანა ბურდულაძე-სონიძე, აღმზრდელი თანაშემწე – ირინა ჭუმბურიძე, მზარეული ირმა ვაჭაძე.

ქნი მანანა 20 წელია, რაც უჯარმელი პატარების აღზრდის დაწესებულებას უდგას სათავეში. მანანა მასწავლებელმა კი განაწილებით დაიწყო აქ მუშაობა, წარმოშობით სოფელ თოხლიაურიდანაა, მაგრამ ისე შეეჩვია და შეუყვარდა აქაურები და



ახლანდელი ახალი გოგონა და ბავშვების დაწესებულება

აქაურობა, რომ ოჯახიც აქ შექმნა და საბოლოოდ აქ დაფუძნდა. ამ 32 წლის მანძილზე მან აქ გახარდა თავისი შვილებიც

და ახლა შვილიშვილი – ანანოც ჰყავს აღსაზრდელად. თვალსაზრისით უმთავრესი სამეცადინო ოთახში შესულებს პატარები, ცნობის-მოყვარე თვალსაზრისით გვათვალისწინებენ, მაგრამ შევნიშნე, მეგობრულად უდიდესი და რაღაცეებს ანიშნებენ ჩემს თანხლებს – გამგებლის წარმომადგენელს. როგორც ჩანს იცნობენ და უბრალოდ ჩემი „ერიდებათ“ მასთან გასაშინაურებლად. მაგრამ, როცა სურათის გადაღება შევთავაზე მათ, აქეთ-იქიდან ამოუდგნენ ძველ ნაცნობს და ერთად გადაღება



ბავშვების წარმომადგენელთან ერთად



მენეჯერი მანანა აბურჯანია

შესთავაზეს. შემდეგ მიმხევენ, დათო (აბელაშვილი) ძიამ და კოტე (ლოღელიანი) ძიამ (დეპუტატი), სკამები, მაგიდები, ველოსიპედები და სათამაშოები მოგვიტანეს სანუქრადო.

ლექსების თქმაში თავის მოწონებას ცდილობენ ანანო სონიძე, ვატო ღურგლიშვილი, გიორგი ქისტაური, ჯულო ლოღელიანი კი თითქოს ნამდვილ სცენაზე გამოდიხსო, ისეთი აღმაფრენით მიკითხავს ლექსს „საქართველოზე“...

ჯგუფში არიან: ანანო, ვატო, გიორგი, რეზო, ლუკა, ლუკა, დიანა, სოსო, ბარბარე, გიორგი, გიორგი, ჯონი. ყოველდღე ხალისით, სისხარულით მოიხატარან თავიანთ სკოლაშვილი აღზრდის დაწესებულების იმ ძველ შენობისკენ, სადაც მათ ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი გართობის და სწავლისათვის. ზოგჯერ ფანჯრებისკენ ეპარებათ თვალი. იქვე, ეზოს ბოლოში, ახლანდელი სკოლაშვილი აღზრდის

დაწესებულება დგას, რომელიც შიგნიდან-გარედან გარემონტებულია, მაგრამ იმდენად დაზიანებული კედლებით, რომ შიგნიდან აღსაზრდელების შეყვანა მეტად სარისკოა. ამასთან სატირალია თუ გასაცინი, იმასაც ვერ გავარკვევთ, თუ ვიტყვი, რომ კანალიზაციის სისტემა ისეა მიერთებული შენობასთან, რომ საკანალიზაციო ჭა უფრო მაღლაა, ვიდრე შენობის იატაკი?! დღეს შენობა, რომელიც 2012 წელს აშენდა და 60 ათასზე მეტი ლარი დაჯდა, დაკონსერვებულია! თუმცა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომუნისტების მიერ შეკვიდრად აშენებულ, მაგრამ უკვე მოძველებულ შენობაში აღსაზრდელებს



სკოლაშვილი აღზრდის დაწესებულების შენობა

ბაში „გაიტეხონ“ ენა და სკოლაში მიხვდებიან არ გაუჭირდეთ ქართულ ენაზე



ჯულო ლოღელიანი



აღსაზრდელი მარია ოსეპაშვილი

ყველანაირი პირობები აქვთ შექმნილი, აქ არც სიტბო აკლიათ, არც მზრუნველობა და არც საინტერესო ღონისძიებისათვის პედაგოგთან ერთად ხალისიანი სამზადისი. დამზადობებისას დაწესებულების თანამშრომლებმა მადლობა დაამბარეს აიპ „საგარეჯოს სკოლაშვილი აღზრდის დაწესებულებას“ დირექტორთან ელზა გილაშვილთან და დიდი მადლიერება გამოუთქვეს გამგებლის წარმომადგენლის დავით აბელაშვილისა და სოფლის დეპუტატის კოტე ლოღელიანის მისამართით, რომლებიც

სწავლა. მანამდე მართლაც საინტერესო სააღმზრდელო პროგრამა აქვთ 31-ეეს გასაწველი, ელოდებით ლექსები, სიმღერები, თამაშ-გართობები, საახალწლო, სარეკლამო-ლო ღონისძიებები. საამისოდ კი პირობების შესაქმნელად იზრუნა აიპ „სკოლაშვილი აღზრდის დაწესებულების“ დირექციამ და გამგებლის წარმომადგენელმა გომბორში ნოშრევან ნეკრესელაშვილმა.



გომბორელი აღსაზრდელი ბავშვებთან და აღზრდელის თანაშემწესთან ერთად

წმინდა მამა გვმოძღვრავს ბავშვთა აღზრდა

„ფოთალს“ შვილების გამო უამრავი რამის დათმენა იმიტომ უწევს, რომ არ სურთ გაროზება, სიტყვით გონს მოყვანა და თავისუფლებულად და უკანონოდ მცხოვრები ვაჟების შექმნა, იმიტომ სწორად ხდებიან იმის მოწმენი, თუ როგორ უწევიათ ხოლმე მათ შვილებს დიდი უბედურებანი...

საბოლოოდ, რითი განმართლდები? – გეტყვის უფალი, – განა არ მოგეცა ბავშვი, რომ თავიანთი შენთან ეცხოვრა? მის მასწავლებლად, მოძღვრად, მეურვედ და უფროსად დაგადგინე, ნუთუ მასზე მთელი ძალაუფლება არ გიბოძე და არ გიბრძანე, დაგეყუშე და მოგეყვს-რიგებინა ასევეარად ფაქიზი არსება? რითი განმართლდები, თუკი უზრუნველად უყურებდი მის ხტუნვას? რას იტყვი? რომ ის თავისუფალი და დაუმორჩილებელია? მაგრამ, მანამ უნდა მოგეთოკა, სანამ ყმაწვილი და ადვილად ადვირამოსადები იყო, გულმოდგინებით უნდა მიგეყვია, მისი აღტყინებული სული, როცა ჯერ ისევე ადვილი იყო მასზე ზემოქმედება, სარეველა მაშინ უნდა აღმოგეცია, როცა ამის ქნა უფრო იოლი იყო, რადგან ამ შემთხვევაში ყურადღების მიღმა დარჩენილი ვნებანი გაძლიერებას ვეღარ მოასწრებდნენ და გამოუსწორებელიც ვეღარ იქნებოდნენ...

... მამები, რომლებიც შვილთა წესიერებასა და თავდაჭერილობისათვის არ ზრუნავენ, მათი მკვლევები არიან და მკვლევებზე უფრო უარესებიც, რადგან მათ სხეულს კი არა, სულს ღუპავენ, როდესაც ხედავ, რომ ცხენი უფსკრულისკენ მიექანება, ადვირს ამოსვლად და ძალით შეაყენებ, სწორად ურტყამ კიდევ, რაც სასჯელია, მაგრამ დასჯა ხომ გადარჩენის

დედა! ასევე მოექცევი შენს შვილებს, თუკი სცოდავენ...

ამგვარად ყრმაში იმგვარი აზროვნება უნდა დაგამკვიდროთ და განავითაროთ, რომ შვილის, თუ რას ნიშნავს სიმდიდრე, დიდება, ძალაუფლება, მათი უგულვებელყოფა შეძლოს და უმადლესისკენ ისწრაფოდეს... დაე, მიუხეობს, არაფრად თვლიდეს ფულს, ადამიანურ დიდებას, ძალაუფლებას, სიკვდილს და ამ წარმავალ ცხოვრებას... სწორედ მაშინ იქნება გონიერი, დაე, დედაც ამ წესით აღზარდოს ქალიშვილი, ფუფუნებას, მორთულობას და ყველაფერ იმას განარიდოს, რაც შეძლება ახასიათებ...

ბავშვთა რყენის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მშობლების უგუნური მიჯაჭვულობა ხდება ხოლმე წუთისოფლისადმი, როდესაც მთელი ყურადღება ოდენ ამისკენ აქვთ მიპყრობილი და მასზე აღმატებული არაფერი გონიათ. ამიტომ ვეღარც ბავშვის სულზე ზრუნვა ახერხებენ, ასეთ მშობლებზე ვიტყვი, რომ შვილის მკვლევებზე უარესნი არიან, რადგან მკვლევები სულსა და სხეულს ერთურთისაგან განაწირებენ, ესენი კი ერთსაც ღუპავენ და მეორესაც...

...სამყაროს მოშლის მიზეზი ის გახლავთ, რომ საკუთარი შვილების მიმართ დაუდევარი ვართ, ოდენ მათ შესაძინელზე ვზრუნავთ, სულს კი უგულვებელყოფთ, რაც დიდი უგუნურობაა.

... სიცოცხლეშიც და სიკვდილის წინაც ვუმეორით და ვარწმუნებთ ნების შვილებს, რომ დიდი სიმდიდრე, უცდომელი სამკვიდრებელი და უღარდელი საგანძური არის შიში ღვთისა“

წმინდა იოანე ოძრელი

ბანათობა

ლიცეუმი და მისი ძირითადი „კაპიტალი“



პატარა ბავშვის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი ორ ათეულ წელზე მეტ ხანს თელის, მაგრამ არსებობის მცირე დროის მიუხედავად უკვე დაიკავა სათანადო ადგილი ქვეყნის ამ ტიპის მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის. დღიდან დაარსებისა, მოსწავლეთა სწავლა-განათლების პარალელურად, აქ მრავალმხრივი ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს მათი კულტურულ-ესთეტიკური აღზრდისა და ღირსეულ მამულიშვილებად ჩამოყალიბებისათვის. მათ მიერ სწავლა-დასწავლის განხორციელებაში მდგრადი წარმატებების შესახებ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრიდან გვესაუბრება **სკოლა-ლიცეუმის დამფუძნებელი და დირექტორი ცისიპერ დიდმელაშვილი:**

– მოსწავლეების ორენოვანი სწავლა-განათლების სრულყოფილად დაუფლების გარდა, – აღნიშნა მან, – სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რაშიც აქტიურად არიან ჩაბმული ჩვენი აღსაზრდელების უმეტესობა. სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები ორჯერ გახდნენ ნორმ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადის რესპუბლიკური ტურის ფინალისტები. ამ წარმატებისათვის ჩვენი მოსწავლეები არსენ გორგაძე და გვანცა მუხიაშვილი დაჯილდოვდნენ ნოუთუბქებით. ჩვენმა მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს „აღლარის“ საგანმანათლებლო სისტემის მიერ ორგანიზებულ ნორმ მეცნიერთა და გამომგონებელთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, სადაც აკაკი ცხავარიასეული და იაკოპი პირველი ადგილი, ხოლო საერთაშორისო ოლიმპიადაზე დამისახურა ვერცხლის მედალი.

სკოლა-ლიცეუმი მოხვდა საქართველოს იმ 25 სკოლას შორის, რომელთაც გამარჯვებს საქართველოს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში ფრანგულ ენაში და დაჯილდოვდა სიგელით (ჟედაგოვი მარინა დიდმელაშვილი, მოსწავლეები გვანცა და მადონა გიუნაშვილები).

როგორც ცნობილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოში აშშ საელჩოსა და ამერიკის „კონრადი“ ფონდის ხელშეწყობით ატარებს კონკურსს „ათასწლოვანი ინიციატივა გამოწვევა“. კონკურსი ტარდება თანამედროვე ტექნოლოგიებში, მედიცინასა და ბუნების დაცვის საკითხებში. კონკურსში სულ წარდგენილი იყო 88 განაცხადი. აქედან ნახევარფინალში მოხვდა 25 აპლიკაცია, ხოლო ფინალში – 12, მათ შორის ჩვენი მოსწავლეების გვანცა ბილანიშვილისა და მადონა გიუნაშვილის გამოგონება (ხელმძღვანელი ც. დიდმელაშვილი). ფინანსური ტური გაიმართება 2015 წლის თებერვალში. პირველ ადგილზე გასული გამოგონება მონაწილეობას მიიღებს „კონრადის“ ფონდის კონფერენციაში, რომელიც გაიმართება ამერიკაში, ხოლო II და III ადგილებზე გასული მთავარი ფულადი ჯილდოებს. ჩვენც ვცდილობთ გრანტის მიღებას და წარმატებებს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ძალზე ძნელია თანამედროვე ტექნოლოგიებში კონკურსების დაძლევა.

- **კერძოდ, რა სახის გამოგონებით ხართ ჩაბმული კონკურსში?**
- ჩვენი გამოგონება ეხება ბუნების დაცვის საკითხს.
- **რამდენადაც ვიცის, თქვენი სამი მოსწავლე ჩართული იყო ფონდ „მოქალაქის“ მიერ სამოქალაქო განათლების კუთხით ორგანიზებულ ოლიმპიადაში. რა შედეგებით დაასრულეს მათ ეს კონკურსი?**
- აღნიშნული კონკურსი ჯერ არ დასრულებულა, თუმცა მასში ჩართული ჩვენი მოსწავლეები მადონა და გვანცა გიუნაშვილები და ბუკან მუხიაშვილი გადავიდნენ ოლიმპიადის მეორე ტურში – დაჯილდოვდნენ მცირე საჩუქრებით. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ გვანცა გიუნაშვილს მეორე შედეგი 34 ქულა ჰქონდა რაიონში. ამჟამად ვემზადებით კონკურსისათვის „ეკოლოგიური ვეროპას“. კონკურსი ტარდება მათემატიკის სწავლების წახალისების მიზნით.
- **თუ არ ვცდები, თქვენი სკოლის მოსწავლეები ორჯერ იყვნენ მიწვეულნი საფრანგეთში, კახეთთან დაშობილებული იონის დეპარტამენტის მიერ, რას გვეტყობათ ამის შესახებ?**

– საფრანგეთში საფრანგეთის საკონსულოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად მიგვიწვიეს იქ ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა სცენაზე დადგეს სპექტაკლები, რის შესახებაც ადგილობრივ პრესაში დაიბეჭდა კიდევ. საფრანგეთის გარდა, ჩვენი სკოლის ერთი მოსწავლე მიწვეული იყო ბრაზილიაში, სადაც მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში „გადავარჩინოთ დედამიწა“. ჩვენი მოსწავლეები ასევე დაჯილდოვებული იყვნენ გამომცემლობა „ლიოპენს“ მიერ ევროპეში მოგზაურობით, ხოლო ფრანგული ენის მასწავლებელი მარინა დიდმელაშვილი და სკოლის დირექტორი დაჯილდოვებული იყვნენ საფრანგეთის საელჩოსა და ფრანგული ენის მასწავლებლებს ასოციაციის მიერ ფრანგული ენის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

– **სკოლის სხვა პედაგოგების შესახებ რას გვეტყობათ, რამდენად არიან ჩაბმული ისინი სასწავლო დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში?**

– ყველა ჩვენი მასწავლებელი სტატირებულია საფრანგეთში. ისინი ჩვენი სასწავლებლის ძირითად კაპიტალს შეადგენენ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ჩვენი ყველა კურსდამთავრებული სწავლობდა და სწავლებდა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო უკა კაპიტანოვმა საზღვარგარეთ დამთავრა მაგისტრატურა. გვეავს ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული მასწავლებლებიც, თუმცა ზოგიერთი დაბალი ხელფასის გამო წავიდა სკოლიდან.

დამშვიდობებისას ქმნა ცისიპერმა თავისი გულისტკივილი გვითხრა: – მინდა გავამხილო ჩვენი გულისტკივილიც. 2011 წლიდან სკოლებს შეგვიმცირდა 1 მოსწავლეზე გათვლილი ფუნქციური დაფინანსება. აქედან გამომდინარე, დაბალია მასწავლებლებს ხელფასებიც. რაც შეეხება სკოლის გადასახადს, ძალზე მცირეა – წელიწადში 400 ლარი, მაშინ როცა მაღალია შენობის ქირის და ავტორიზაციის გადასახადები. ჩვენი მასწავლებლები ვერ სარგებლობენ უფასო ტრენინგების გავლით, მოსწავლეები არ იღებენ უფასო სახელმძღვანელოებს, წიგნების ფასი კი მაღალია. ვისურვებდით, რომ წიგნები იმ ფასში მაინც მოეცათ, როგორც სახელმწიფო ყიდულობს.

სასაუბრა გ. ლაპახიშვილი

ყოველდღიურად იზრდება რისკი ადამიანის ცოფით გარდაცვალების. ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოში ცოფით გარდაცვალების 22 შემთხვევა დაფიქსირდა. ცოფის გამავრცელებელი ცხოველებიდან მგელი და ტურა რომ მოსახლეობას უკვე სოფლის ახლო-მახლო კი არა, ქუჩებსა და საკუთარ ეზოებშიც უნახავთ, ამაზე ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის მოსახლეობა გეტყვით. რაც შეეხება ძაღლებს, ისინი უკვე „ქუჩის გენერლებად“ იქცნენ და თეთი ქალაქის ცენტრალურ ქუჩებშიც უკვე უგუფ-უგუფად ისეთი სისწრაფით დარბიან, თითქოს ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი თვითონ იყვნენ. თუმცა, იქნებ არიან კიდევ?! მშობელს შეიძლება მათი შიშით სკოლაში ვერ გაუშვია, ბავშვების ქუჩაში უფროსებს გარეშე ყოფნას ვინდა ჩივის?! ყოფილ ბავშვთა რაიონული საავადმყოფოს მიმდებარე ქუჩების ტერიტორიას აქ კარგა ხანია სამი დიდი ზომის ქართული ნაგავის ჯიშის ძაღლი „აკონტროლებს“. დიას, აკონტროლებს, რადგან მათი დანახვისას შიშით თმა „ყალბზე“ მხოლოდ პატარებს არ უდგებათ, აქ ზრდასრულ ადამიანსაც უჭირს, თუ ხელში „პარკისმავარი“ რამ დაიკნახეს, უზრალოდ არ გატარებენ, „ძვენი“ წინ უნდა დაულოთ – საყოფაცხოვრებო ნარჩენები...

ამ დღეებში თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში 6 წლის ბავშვი გარდაიცვალა – საკუთარმა ძაღლმა დაღორბლა, მშობლებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს მათი გამოკვლევა და შედეგიც...

რა ვქნათ, როცა კანონი იცავს ჩვენივე საშიშ ოთხფეხს, როცა მათი განადგურება არ შეიძლება, როცა მათი იზოლირებაზე მიდგება რატომ, რა ვქნათ, როცა 20-25 მდლისგან შემდგარი ხროვებიც ფიქსირდება ქალაქის მდინარეების ხეობებში, სოფლების შემოგარენში?!

ამ საგანგაო სიტუაში გვინდა შეგახსენოთ – ცოფი ყველაზე ვერატი, მწვავე ვირუსული დაავადებაა, რისი თავიდან აცილების მიზნით, როგორმე უნდა მოვახერხოთ საკუთარი თავის თავადვე დაცვა – გადარჩენა...

ცოფი მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელიც ადამიანს დაავადებულ ცხოველთან კონტაქტის შედეგად (დაკბენა, დაკაწვრა, დაღორბლევა) გადაეცემა. ცოფით შესაძლოა დაავადდეს როგორც შინაური, ასევე გარეული ძუძუმწოვრები, მათ შორის ძაღლი, კატა, მელა, მგელი, ტურა და სხვა. ნებისმიერი დაზიანების მიღების შემდეგ რეკომენდებულია პროფილაქტიკური მკურნალობა, მაგრამ იგი ეფექტურია მხოლოდ სათანადო ვადებში ჩატარების შემთხვევაში.

ცოფის ნიშნები ცხოველებში ვლინდება ქცევის შეცვლით, აგრესიულიობით, მომეტებული აგზნებით, გუგების გაფართოებით, კანკალით, ან დამბლით, ღორბლიანობით. დაავადების ადრეულ ეტაპზე ცხოველი შესაძლოა საეგზეთო ჯანმრთელობაში იყოს, მაგრამ მომდევნო 10 დღის განმავლობაში მას აუცილებლად გამოუვლინდება ცოფის ნიშნები და მოკვდება. იგი შეიძლება

ბანათობა

ცოფი კალი ადამიანს ეპოვარი?! ზოგჯერ მერაბი ბბერი

მძიმის საუბარი



გაიქცეს და დაიკარგოს.

თუ თქვენ დაგკბინათ, დაგკაწვრათ ან დაგორბელოთ დაავადებულმა ცხოველმა და დროულად არ ჩაიტარებთ სათანადო პროფილაქტიკურ მკურნალობას, არსებობს ძალიან დიდი საფრთხე იმისა, რომ ცოფით დაავადდეთ და ემსხვერპლოთ ამ დაავადებას. პროფილაქტიკური მკურნალობა დაკბენის შემთხვევაში უნდა დაიწყოთ. თითოეული დაავადებული დღე და საათი შესაძლოა, ცოფის განვითარების მიზეზი გახდეს. ცოფით დაავადების შემთხვევაში განკურნების არავითარი საშუალება არ არსებობს.

რაც შეეხება ცხოველს, რომელმაც გიკბინათ, დაგკაწვრათ ან დაგორბელოთ – ნუ მოკლავთ და ნუ გაავადებთ სახლიდან. ასეთი ცხოველი უნდა იყოს იზოლირებული და დააკვირდეთ კონტაქტიდან 10 დღის მანძილზე. თუ ამ დროის გასვლის შემდეგ ცხოველი არ მოკვდა, ე.ი. ის ცოფით არ ყოფილა ავად და თქვენ აცრების გაგრძელება აღარ დაგჭირდება.

ცოფით დაავადების თავიდან აცილება ადვილია შესაძლებელი დაავადებულ ცხოველთან კონტაქტის რისკის შემცირებით. დაზარალების შემთხვევაში პირველადი დახმარების დროულად აღმოჩენა და სათანადო პროფილაქტიკური მკურნალობა.

* პირველადი დახმარება გულისხმობს ნაკბენი ჭრილობის ჩამობანას საპნითა (უმჯობესია სარეცხის საპნი) და წყლის ჭავლით. მის დამუშავებას სავალდებულოა ხსნარით (700 სპირტით ან 5% იოდის ნაყენით). ამის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს.

პროფილაქტიკური მკურნალობა ტარდება ცოფის ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, რომლებიც რაიონულ საავადმყოფოშია ხელმისაწვდომი. ეს პრეპარატები დაზარალების შემთხვევიდან უმოკლეს ვადაშია ეფექტური. ცხოველის მიერ დაკბენის/დაკაწვრის/დაღორბლების შემთხვევაში მიმართეთ უახლოეს სამედიცინო დაწესებულებას. ექიმი განსაზღვრავს შემდგომ ტაქტიკას თქვენი სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

* ცოფიან ცხოველთან კონტაქტის რისკის შესამცირებლად მკაცრად დაცავით შემდეგი

- წესები:
1. აცვით შინაური ცხოველები (ძაღლი და კატა) ადგილობრივ ვეტ-სამსახურში, სადაც ვაქცინაცია უფასოა;
 2. არ იყოლიოთ გარეული ცხოველები შინ;
 3. არ შეეხოთ უცნაური ქცევის ან დაავადებულ ცხოველს, შინაური იქნება ის თუ გარეული.
 4. გააფრთხილეთ ბავშვები, არ გააღიზიანოთ მოხეტიალე და გარეული ცხოველები, არ სცადონ მათი დაჭრა, არ შეეხოთ ცხოველის ლეშს;
 5. ცხოველის უცნაური ქცევის შემწვევის ან დაავადებული ცხოველის მიერ ადამიანის ან სხვა ცხოველის დაკბენის შესახებ, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ადგილობრივ ვეტსამსახურს;
 6. მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, სადაც არ არის შემოღობილი პატრონის კარ-მიდამო, ყოველთვის დააბით ცხოველი;
 7. თუ თქვენ შეიკვლეთ უცნობი შინაური ცხოველი (ძაღლი ან კატა), მიმართეთ ვეტსამსახურს და ცხოველს ჩაუტარეთ ცოფის საწინააღმდეგო აცრა;
 8. საკუთარი ცხოველების (ძაღლების) გადაადგილება და გასცირება ხალხმრავალ ადგილებში დაუშვებელია საპირის (ალიკაპის) გარეშე.

ლია კვიციანიშვილი, აიპ „საგარეჯოს ჯანდაცვის ცენტრის“ ექიმი ეპიდემიოლოგი



მამისაშვილის „ქუჩის ბანერ-ლეგი“

როგორ წყალს ვსვამთ?! სასიკეთო წყალი – ღებავი მსიკი, ხარისხი?! სასიკეთო წყალი – ღებავი მსიკი, ხარისხი?!

წყალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია დედამიწის არსებობისათვის. სადაც წყალია, იქ სიცოცხლეა და სადაც მისი ნაკლებობაა, იქ არსებობისთვის ბრძოლა მიდის.

წყალი ბუნებაში ყველაზე გავრცელებული ნივთიერებაა. დედამიწის 70% წყლითაა დაფარული. იგი სიცოცხლისთვის აუცილებელი ნივთიერებაა, ამიტომ ამ ბუნებრივ რესურსს მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

ადამიანი წყლის მარაგს სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებს: საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა. წყლის დაბინძურება თანამედროვეობის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა.

ხარისხიანი სასიკეთო წყალი მობარაგება კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. არ არის დასაშავი, რომ წყალსაღებების, შემკრები ჭების, რეზერვუარების, ბუნებრივი წყაროების და მცირე სიმძლავრის სოფლის ტიპის წყალსაღებების ხანტარულ-პიკეტაჟური და ტექნიკური მდგომარეობა არაადაამაკმაყოფილებელია.

წყალს მოელი რიგი მახასიათებლები გააჩნია, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედებენ, ისინი რამდენიმე ჯგუფად არის დაყოფილი. ეს არის ორგანოლექტიკური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური მავნებლები. ორგანოლექტიკური ის მახასიათებლებია, რომლებსაც ადამიანი გრძნობდა ორგანოების მეშვეობით აღიქვამს

– წყლის ფერი, სუნი, გემო, ტემპერატურა, სიმღვრივე, გამჭვირვალობა. ესენი პირველ რიგში გვაძინებენ თუ რამდენად სანდოა მოხმარების თვალსაზრისით ესა თუ ის წყალი. მიკრობიოლოგიური, ბაქტერიოლოგიური მავნებლები – შესაძლოა შეიცავდეს ნებისმიერი ინფექციური დაავადებების გამომწვევე სხვადასხვა ვირუსს, მიკრობსა და ბაქტერიას.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასიკეთო წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“ ინტენსიურად ახორციელებს სასიკეთო წყლის სინჯების აღებას რაიონის ტერიტორიაზე არსებული დასახლებული პუნქტების მიხედვით

როგორ წყალს ვსვამთ?!

სასეული წყალი – ღებავი მუიკი, ხარისხი?!

დასასრული



თითქმის ყველა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობიდან. ზაფხულის პერიოდში უფრო მეტი სისხშირით აგრეთვე ვიღებთ სინჯებს ყველა კერძო თუ იურიდიული პირის მომართვის საფუძველზე.
ჩვენს მიერ აღებულ ნიმუშებში ჩატარებულ ლაბორატორიულ გამოკვლევებში სასმელი წყლის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლები თითქმის არც ერთ სოფელში არ არის დამაკმაყოფილებელი / ქიმიურში ნაკლებად / წყლის ხარისხის არასტაბილურ მაჩვენებლებს იმანაც შეუწყო ხელი, რომ გვაღვივანი ზაფხულის გამო წყლის დებიტი ძალიან მცირე იყო, სასმელი წყლის ქსელების უმეტესობა კი მოქვეყნებულია და მასში არაინტენსიურმა წყლის დინებამ დამატებითი სირთულეები შექმნა როგორც წყალმომარაგებაში, ისე მის ხარისხში. პრობლემებს ქმნის ისიც, რომ არც ერთ სასმელი წყლის სათავეს არა აქვს საქლორატორი და ჩვენს მიერ შექმნილი ქლორით ინტენსიურად ვერ ხდება ქლორირება / ჩვენი მარგულები რეგულაციები მარტოვე წესით ახდენენ / რაიონის ტერიტორიაზე არსებული რეზერვუარების უმეტესობა გასარემონტებელია, ქსელები შესაცვლელია, რაც დამატებითი დაბინძურების წყარო ხდება. ამ დროს ქლორირებაც კი ნაკლებ ეფექტს იძლევა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოგიდგენთ სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების შედეგებს 2014 წლის ბოლო თვეების მონაცემებით.

ნომერი	სანიტარული წესები და ნორმები სწ-დან 2.14.000-00-სა-3	წესება-დან	სანიტარული წესები და ნორმები სწ-დან 2.14.000-00-სა-3	ბაქტერიოლოგიური
1.	მზისგული-ახალი სათავე	4.5		39
2.	მზისგული-სკოლის ჭაბურღილი	2.4		9
3.	შიბლიანი-ცენტრის სათავე	1.8		39
4.	შიბლიანი-ქუდალან სათავე	3.2		43
5.	ზაფხული-ახალი სათავე	2.2		39
6.	ზ/ყანდაურა-გიაანთ წყალი	4.5		64
7.	ქ/ყანდაურა-კადატოხიანთ წყალი	3.6		43
8.	ქ/ყანდაურა-ალაკის სათავე	2.7		39
9.	ქ/ყანდაურა-ალაკის წყარო	2.2		39
10.	ვერხვიანი-კომფორტის სათავე	3.6		43
11.	ვერხვიანი-მლაშე წყლები	2.2		39
12.	კაკაბეთი-საბას სათავე	4.2		93
13.	კაკაბეთი-სოფლის სათავე	4.3		43
14.	კაკაბეთი-დვინის სათავე	4.5		93
15.	პ/ჩაილური ქეჩახის სათავე			43
16.	პ/ჩაილური-ყავრიანთ წყალი	3.5		39
17.	პ/ჩაილური დვინის სათავე	3.5		43
18.	დ/ჩაილური-სოფლის სათავე	3.3		43
19.	მანავი-ბურღიანთ სათავე	2.2		43
20.	მანავი-სოფლის სათავე	1.8		43
21.	მანავი-ქაღის ციხის სათავე	2.3		43
22.	გომბორი-რუსიანის სათავე	2.2		4
23.				
24.	კოჭბაანი-იროდიონის სათავე	2.2		11
25.	კოჭბაანი-ბოტკოს სათავე	1.3		14
26.	უდაბნო თოხლიაურის ჭაბურღილი			7
27.	ხაშმი-სოფლის სათავე	2.5		43
28.	პატარძეული-ხილის ქვემოთ ჭაბურღილი	3.2		43
29.	პატარძეული-ფიდინანთ სათავე	2.6		43
30.	პატარძეული-ჭანიანთ სათავე	2.7		43
31.	პატარძეული-თათრისწყლის ჭაბ.	2.7		9
32.	წყაროსთავე-სოფლის სათავე	1.5		39
33.	წყაროსთავე-წყაროების სათავე	2.4		39
34.	წყაროსთავე-ბებერწყლების სათავე	2.7		43
35.	ნინოწმინდა-სოფლის სათავე რეზერვუარიდან,	2.4		43
36.	თოხლიაური-შაშვის წყაროები	1.5		39
37.	თოხლიაური-სოფლის სათავე	1.4		39
38.	თოხლიაური-იუსას წყარო სათავე	1.2		39
39.	კოჭბაანი-იროდიონის სათავე			7
40.	გ/წმინდა-კოლის სათავე	1.5		43
41.	გ/წმინდა-ნაერობის სათავე	2.3		43
42.	გ/წმინდა კანჯარანთ სათავე	3.4		43
43.	ღამბალო-სკოლის ჩასახვევითან ჭაბ.	1.2		20
44.	ღუზაგრამა-ჭაბურღილი	1.3		9
45.	ღუზაგრამა-ჭაბურღილი	1.2		3
46.	ღუზაგრამა-წითელი ჭაბურღილი	1.3		3
47.	მუღალნი-ჭაბურღილი	1.3		3
48.	უჯარმა-სოფლის სათავე	2.3		3
49.	უჯარმა-ბუდღუჯურის სათავე	3.2		11
50.	გომბორი-პერეველის სათავე	1.4		3
51.	პატარძეული-ჭაბურღილი სტადიონთან.	2.3		43
52.	ზემო მანავი- სოფლის სათავე	1.8		64
53.	გომბორი-რუსიანის სათავე	1.2		9
54.	ზაფხული- სოკარის წყალი	3.3		9

და ბოლოს, მოსახლეობას მინდა მივმართო: გვესმის, რომ ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გაზრდილია შეშინებული მოთხოვნა, მაგრამ ნუ დაგვაოწყობებთ, რომ ტყე განსაკუთრებულ როლს თამაშობს სასმელი წყლის მომარაგებაში. ტყის უმოწყალო ჩეხვა იქნება გლობალური დათბობის-თან ერთად მიგვიყვანა იმ შედეგებამდე, რომ წყლის დებიტი კატასტროფულად არის შემცირებული. განსაკუთრებით გავფიქრობოთ სასმელი წყლის სათავეების ირგვლივ არსებულ ტყის მასივებს.

მინდა აღვნიშნო ჩვენი მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული მეტად მნიშვნელოვანი აქცია – ნერგების დარგვა, რომლის დროსაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 4000 სხვადასხვა ჯიშის ფოთლოვანი და წიწვიანი ხეები დაირგა. სასურველია ეს აქცია ყველა სოფელში, ყველა მოსახლეში გაავრცელოს და ყოველწლიურად სისტემატური ხასიათი მიიღოს.

სათავეს პატივს სცემს
აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე

დაავადების უსიძოლობია

ვის რა აწუხებს

გული იმ ადამიანებს სტკივით, რომელთაც სიხარული, შემოქმედებითი ძალა და-კარგეს, რომელთაც აღარ შეუძლიათ სიხარულის გამოხატვა ან არ აძლევენ საკუთარ თავს სიყვარულის უფლებას.
სისხლის პრობლემები იმ ადამიანებს ეწვებათ რომელთაც დაივიწყეს სიცოცხლის ხალისი, რომელიც ყოველთვის უკმაყოფილონი არიან.
მხედველობა ქვეითდება, როცა ადამიანს რაღაცაზე „თვალის დახუჭვა“ სურს. მაგალითად, მოზარდები ხელავენ პრობლემებს ოჯახში, მაგრამ არ უნდათ აღიარონ, რომ მათი მშობლები არ ყოფილან ისეთი იდეალურები, როგორებიც მანამდე ვგონათ.
ახლომხედველობა – მომავლის შიშია.
ასტიმბატიზმი (ბუნდოვანი მხედველობა) კი – საკუთარი თავის ჭეშმარიტი სახით არდანახვის სურვილი.
სურდო – თხოვნა დახმარების შესახებ, დაუფიქრელი ცრემლები.
ყველი დაავადება, განსაკუთრებით ქრონიკული – გამოუთქმელი სიტყვები, პრეტენზიები, მოთხოვნები. შემდგომი გაცვივების დროს ეცადეთ თქვენი დაფარული წყენა გამოთქვათ მასთან, ვინც გაწყენინათ. გადაეხედეთ იმის უზუშრა ტარებას, რაც არ მოგწონთ და აუცილებლად ივარჯიშეთ უკეთესობას.
ძალის სასმისი ორბანოთა დაავადებების უმრავლესობის მიზეზი, მამაკაცის მიმართ წყენა გახლავთ, ხშირად – პრობლემები მამასთან ურთიერთობაში, აგრეთვე საკუთარი ქალური ბუნებისა და დანიშნულების აღიარების სურვილის არქონა.
დემონია – დათრგუნული მრისხანებაა,

რომელსაც არ აძლევთ გამოხვედის საშუალებას.
სულ დაავადებათა გამომწვევი 5 ფსიქოლოგიური მიზეზი არსებობს: **მრისხანება, ყზინა, დანაშაულის განცდა, შარიანობა, სიცოცხლის შიში.**
მრისხანება ორგანიზმს შიგნიდან „აფეთქებს“ – იმის მიუხედავად, გადმოვანთხვეთ თუ არა მის სხეულზე, თუნდაც არ აღიარებდეთ, რომ იგი თქვენში არსებობს. მრისხანება იწვევს ჭკუასუსტობას, დაჭიმულობებს, თირკმელებში კენჭების გაჩენას, ნიკრისის ქარს, ღვიძლის დაავადებებს.
ყზინა – ასუქებს ორგანიზმს, იწვევს სიმსივნეს, სექსუალური პარტნიორების მიმართ წყენა კისტის გაჩენის მიზეზი ხდება.
დანაშაულის შემბრანება იწვევს სხვადასხვა სახის ტკივილს, ლოთობას, ალერგიებს.
შარიანობა, გულბანობა, სმპატიციზმი – ართრიტი, რევმატიზმი.
სიცოცხლის შიში – სპაზმურ ტკივილებს, წყლულებს, უპაერობის შეტევებს, ანემიებს, აპათიებს, დამბლებს, აპენდიციტს, ფრიდიულობას.
ჩვენი პრობლემების მიზეზი ჩვენს არასწორ მსოფლმხედველობაში, საკუთარ თავზე ავადმყოფურ შეხედულებაში უნდა ვეძებოდეთ. ჩვენი თავად ვამბობთ უარს სიხარულზე, ბედნიერებაზე, ხოლო შემდგომ, გვიკვირს დაავადების განვითარება და თავს მსხვერპლად მივიჩნევთ, ხოლო გასაღები „ჯიბში“ გვაქვს – თუკი ეს ჩვენი აზროვნების პრობლემაა, მაშასადამე, შეიძლება მისი შეცვლა და გამოჯანმრთელება.

გეოლოგ გენს უნდა მოვითხოვა?!

იმეზ თითოეულ უნიკალურ ჯიშს და ინდივიდს...

„ვენახში“ უღვევი ხილით იყო სავსე: ბალი, თუთია, ჭურბლი, თაფლა მსხალი, გულაბი, პანტა, ატამი, ვაშლი, კომში, ფშატი... ყურბენი ხომ იყო და იყო! შიგ და შიგ თავკარავიანი კაკლები იდგა, რომლის ტოტებზე ბაღურინასავით დახვრიტად მოღალური და „ბოტო გოგის“ დაგვძახოდა.
უთვალივი ხეხილი ზედ გზის პირას იდგა ლალ-ზურმუხტისფერად, მაგრამ არც ერთ მუშას არასოდეს უკადრია ხილის მოპარვა. მხოლოდ ხილის შემოძლევა კი იცოდნენ. გლეხებს ეხატებოდნენ ფულის აღება და ისე შესთავაზებდნენ ხოლმე, მაგრამ მუდამ ხომ არ შეიძლება თავაზ? და აი, თითქოს მიწოდან ამოცვივდნენ ჩარხები, ვაჭრუკანები, დაივიწყნენ ჩვენს ვენახებს და თითოეული ხე, ძალითა და ნებით შეისყიდეს, რათა მერე ერთი ათად გაყვიდათ მუშებზე. ერთი ხეც კი აღარ დარჩა ხალმე ბაჭეულებს პირის ჩასატკბარუნებლად. როგორც მახსოვს, თითო ხეში ექვს შაურს, ათ შაურს, ხამ აბაზს და ასე მანეთამდე იძლეოდნენ, თვითონ კი თუშნობით ივებდნენ“ – გვითხვობს გოგლა ლეონიძის მოთხრობაში „ჩვენი ჭურბლი“.
ხილით ვაჭრებისა რა მოგახსენოთ, რამდენს ივებდნენ და ეხლაც ივებენ, კახეთის ბარაქიან მიწაზე ატმის, ვაშლატამისა და ყურბენის კლიდის მოსავლის გამტანები საქართველოს სხვადასხვა ბაზრებში და თავად აქც, საგარეჯოს „ოქროს ბაზარში“ შემომტანნი, მაგრამ ნიგოზის ფასმა რომ 20-დან 25 ლარამდე აიწია, ეს ყველა იცის. ჯერ მაშინ, როცა კაკლის ხის შემსყიდველები ისე არ გააქტიურებულან, როგორც ხილის შემსყიდველი „ჩარ-ვაჭრები“.
ხმა დღირსა, კაკლის ხეებს ყიდულობენ, თანაც სარფიანად – ერთი ხე ასი დოლარით და დაიძაბა საგარეჯო, სოფლები. კაკლის ხის მოჭრას და გაყიდვას რა უნდა, თუკი ადენ თანხას გადამიხილავს და დღე არ გავიდოდეს, ქალაქისა და სოფლის თავკაცებისათვის არ მიემართათ ცნობისათვის. ერთი ხელის მოხმით ასე ადვილად იმეტებენ, თითქოს ან პარს წამლავდეს – გაჯანსაღების ნაცვლები ან ძალღივებენ – მომწამლავ ნივთიერებას იძლეოდნენ. ოჯახი არ იყო, კაკლის რამდენიმე ხიდან მოსავალი არ ჰქონოდა, ეხო არ იყო და ვენახი, კაკალი არ მდგარიყო – საჩრდილოლად. მერე როგორი წრდილი იცის დალოცვილმა?! როგორი ბარაქა მოჰყვება მის მოსავალს. განა ყველა ხალხს აქვს კაკლის ხე საჩრდილოლად და ნიგოზი საკვებად, ფოთლები და ყვივებები – სამკურნალოდ, და მისი მერქანი საავეჯოდ?! არა. „კაკალი ბუნებრივად გავრცელებულია მცირე აზიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ირანში, ჩინეთში, კავკასიასა და შუა აზიაში. სინათლის, სიბოზ

მოყვარულია. მაღალ მთებში (1500 მეტრზე ზევით) სიცხე აზიანებს. უძლებს 20°-მდე ყინვას. საკმაოდ გვალვაგამძლეა. ვერ ეგუება ჭარბტენიან და ეწერ ნიადაგს. კარგად ხარობს ნოყიერ ნიადაგზე, თინარ-კირნარზე. ყვავილობს ფოთლის გაშლასთან ერთად. ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. ნაყოფის მსოიარეა 12 წლიდან 200 წლამდე. მოსავლიანი ხე 100-200 კგ ნაყოფს იძლევა. მძლავრი ფესვთა სისტემა აქვს. მისი მერქანი ძვირფასია საავეჯო მასალაა. კაკლის გული შეიცავს ცხიმებს (45-77%) ცილებს (8-21%), B₁ ვიტამინსა და A პროვიტამინს. მისგან მურაბას ამზადებენ. მწიფე კაკლის გულისგან – ნიგოზისგან ხლიან ზეთს და ხმარობენ საკონდიტრო წარმოებაში, წინაგოგან მზადდება ყავისფერი საღებავი. ფოთლები და წვეწო იხმარება მედიცინაში“ – გვითხვობს საქართველოს ენციკლოპედიაში. ბევრმა საავეჯო მასალად, არც წნევა აწუხებდათ. კაკლის უღელს დღესაც არაყში ყრიან – გემოვნებისა და შეფუთილობისთვის. ნიგოზი თივის დიდი „საბაღოა“ და ჩვენი წინაპრები ილით, უზმოზე სამი კაკლის ნიგოზს პირის ღრუში იმდენ ხანს ანერებდნენ, სანამ ფაფისებერ მასას არ მიიღებდნენ, შემდეგ უღალავდნენ და არ იცოდნენ რა იყო სიმსივნე, საერთოდ, ონკოლოგიური დაავადება, ჩივი, სკლეროზი, გულის, კუჭის ღვიძლის დაავადებები. კაკლის მურაბა კი გულის დაავადებების მქონე პაციენტთა უეგარი სამკურნალო საშუალებაა. ვინ მოთვლის, კულინარიაში როგორ გამოიყენება ნიგოზი, მითუმეტეს მარხვის დღეებში...
კაკალი საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილი, როგორც იშვიათი თვისებების მქონე მცენარე. ოჩაჩიორის რაიონში გასული საუკუნის 80-იან წლებში ყოფილა კაკლის ხე, რომლის სიმაღლე 22 მეტრი, სისხი 1.85 მ, ხნოვანება 245 წელი ყოფილა. დღეს არაფერი იცის, არსებობს თუ არა კიდევ კაკლის ის ხე...
საგარეჯოში 100 წელს გადაცილებული კაკლის ხეებიც გვახს, უმეტესწილად კი ვენახებში, მინდვრებში. სწორედ მათ „შევიწყნენ“ მწკანე დოლარების მოყვარულებიც, რადგან ფართო ადგილებში დარგული უფრო ფართო ვარჯის იკეთებს, ტოტებს კარგად იწვიობს და უფრო მეტი სასაქონლო მერქი ეძლევა. საინტერესოა, ვინმე თუ იცის, ის 100 დოლარიანი ხე იქ რა დირს – სადაც მიაკეთ და სადაც, როგორც

დასასრული მე-8 გვერდზე

სპორტი

სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა

ლეი სეპელოვის ტურნირის საგარეოელი ჩემპიონი

29-30 ნოემბერს თბილისში ჩატარდა ცნობილი ფალავნის ლერი საბელოვის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. მასში ქვეყნის სხვა ფალავნებთან ერთად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების რამაზ ასაბაშვილისა და დათო ბაბუნისძის

აღსაზრდელები. მათგან თავი ისახელა და ტურნირის ჩემპიონი 58 კგ წონით კატეგორიაში გახდა მიხეილ ბოჭორიშვილი. ტურნირის ვერცხლის პრიზიორები თავიანთ წონებში გახდნენ ბაჩო ქელიძე და დავით მარტაშვილი, ხოლო გიგი ქურხულაძე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ძიუდო

თავი არს ამ სასაჩურობაში შეუკნებინათ

ჩემპიონები და პრიზიორები კახეთის სარეგიონო ტურნირიდან

ბასულ თვეში საგარეჯოს ძიუდოს დარბაზმა მორიგ ასპარეზობას უმასპინძლა: ჩატარდა კახეთის რეგიონული პირველობა ძიუდოში 1998-1999 წლიანთა შორის, რომელშიც, რა თქმა უნდა, მასპინძელი – საგარეჯოელი ძიუდოსტებიც მონაწილეობდნენ. სამი პირველი და 4 მესამე ადგილი – ასეთი შედეგით დატოვეს საკუთარ ტატამზე გამართული შეჯიბრება ჩვენმა მოჭიდავეებმა. მათგან პირველობის ჩემპიონები გახდნენ დევიან საბარელი (50კგ), გიორგი მღებრიშვილი (55კგ) და ლაშა მათიაშვილი (66კგ).

ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ სოსო ღურიშვილი (55კგ), ჭაბუკა ჭიბურაშვილი (73კგ), ელდარ ჯიქიძე (81კგ) და გიორგი ფილაური (მძიმე წონა).

სარეგიონო ტურნირი საგარეჯოში

29-30 ნოემბერს საგარეჯოს ძიუდოს დარბაზმა მორიგ საინტერესო ასპარეზობას უმასპინძლა. ჩატარდა თბილისის 2015 წლის მოსწავლეთა ზაფხულის ოლიმპიადის შესარჩევი სარეგიონო ტურნირი ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. ტურნირში მასპინძელი საგარეჯოელი და თბილისის ფალავნებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ბათუმის, ქუთაისის, ბორჯომის, ზესტაფონის, წეროვანის, აჭარის, სვანეთის, სამეგრელოსა და სხვა რეგიონების ძიუდოსტები.

შეჯიბრების პირველ დღეს ასპარეზობაში კახეთის ამასწინანდელი პირველობის საპრიზო ადგილებზე გასული სამი საგარეჯოელი ჭაბუკი ჩაება და ამ ტურნირზეც დაამტკიცეს თავისი შესაძლებლობები. 50 კგ წონით კატეგორიაში III პრიზიორი გახდა ამირან დარბაისელი. იგივე შედეგებით დაასრულეს მშობლიურ ტატამზე გამოსვლა გიორგი მღებრიშვილი (55კგ) და ლაშა მათიაშვილი (66კგ).

საგარეჯოელი ძიუდოსტებისათვის უფრო იტალიანის ასპარეზობის II დღე გამოდგა. ვაჟებში 81 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ელდარ ჯიქიძე.

თავიანთი ოსტატობით კვლავ ისახელეს თავი და საგარეჯოელი გულშემატკივრები გაახარეს ლუდა ფერადის აღსაზრდელმა ძიუდოსტმა გოგონებმა. მათგან 40 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა სადი ბლიაძე. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ წონაში სარეპეუასო და ფინალური ორთაბრძოლები სულაც საგარეჯოს წარმომადგენლებს შორის გაიმართა. ამავე წონაში მეორე ადგილი დაიკავა მარიამ ლაფაჩიშვილი, ხოლო ანა ასანიშვილი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

იგივე განმეორდა 44 კგ წონით კატეგორიაში. აქ, როგორც მოსალოდნელი იყო ჩემპიონობა არაფის დაუთმო საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლემ ნატალია ვიფშიძემ, რომელიც აქამდეც დამსახურებულად ითვლებოდა საქართველოს ძიუდოსტ გოგონათა ნაკრების ფავორიტად და დაყენებული იყო თბილისის ოლიმპიადაზე. ამავე წონაში მეორე ადგილზე გავიდა მარიამ კობახიძე, მესამეზე – ხათუნა თვაური.

ტურნირზე ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ თინათ რევაზიშვილი (52კგ) და მარიამ შულღიაშვილი (70 კგ). ხაზგასასმელია ისიც, რომ გარდა ვიფშიძისა და შულღიაშვილისა ჩვენს გოგონებს თავიანთზე 2-3 წლით უფროს ასაკში მოუწიათ ასპარეზობა და მიუხედავად ამისა, მათ მინც ასეთი შედეგები აჩვენეს.

საგარეჯოს სარეგიონო ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორი ვაჟები და გოგონები აყვანილი იქნებიან საქართველოს ნაკრებში და მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლე-ახალგაზრდობის მომავალ თბილისის ზაფხულის ოლიმპიადაში.

მესამე ადგილზე

ნოემბერში თბილისში საქართველოს პირველობაზე ძიუდოში დიდებში (20 წლიდან) 81 წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა თამაზ პირაპოხაშვილმა (მას 1 სექტემბერს 18 წელი შეუსრულდა).

„გარეჯო“ II ლიგაში თავიანთი კლავ განაახლა

იყო დრო, როცა საგარეჯოს რაიონის საქართველოს ფეხბურთის II ლიგის მონაწილე გუნდი (დიდები) ჰყავდა, მაგრამ შემდგომ ფინანსური და სხვა პრობლემების გამო „გარეჯო“ დაიშალა და 2009 წლიდან მოყოლებული, ჩვენს ფეხბურთელებს ამ გათამაშებაში მონაწილეობა აღარ მიუღიათ. ამ ხუთწლიანი პაუზის შემდეგ როგორც იქნა ამ კუთხით

გაბედული ნაბიჯები გადაიდგა. მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის, საქრებულოს თავმჯდომარის ფრიდონ ბურდულის, აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორის გია მისისურაძის, „გარეჯოს“ ყოფილი მითამაშის ელგუჯა კონიაშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით მიმდინარე წლის ავგუსტოდან ეს გუნდი კვ-



მეორისა და მსოფლიოს ორგანიზაციის, საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონის კარატეში ღაბით ლაშაბიშვილს ეულოცავთ შავი ქამრის წოდების მინიჭებას. ეუსურვებთ ჯანმრთელობას და წინსვლას. მომავალშიც მრავალჯერ გაეხარებინოს თავისი გულშემატკივარი. შპს „დავითელის“ კონიაკის ქარხნის კოლექტივი სახელით მენუჯერი

იპ ჭიბურაძე

საპატიო პატარა, მაგრამ არაერთ პაექრობაში თავნასახელე საგარეჯოელ ღაბით ლაშაბიშვილს ეულოცავთ ახალ გამარჯვებას. ჩვენ უკვე გულშემატკივრები ვართ იმ სპორტსმენისა, რომელიც ასე მიზანმიმართულად და თავგანწირვით იბრძვის წარმატებების მოსაპოვებლად. მისგან კიდევ ბევრ სიხარულს ველოდებით საგარეჯოელები. გაგმარჯვებოდეს, ჩვენო დავით.

ბაზემ „გარეჯოს მაცნეს“ რედაქციის

ბთავაზობა

- 1. გერმანული (ORACAL) ფირმის მეშვეობით თეთრწებადი წარწერების, ფირმის ლოგოს, სტიკერების დამზადებას.
2. მცირეტირაჟიანი პროდუქციის წებოვანი ეტიკეტების ფერად ბეჭდვას.
3. ფერად ფლაერებს, ბუკლეტებს, საფიზიო ბარათებს ლაზერული და მეტალიზებული ბეჭდვით. შიდა და გარე რეკლამას.
4. დესკტოპ კომპიუტერების შეკეთება-

გაძლიერებას და მის აქსესუარებს. დაგეხმარებით თქვენი ფირმის თუ ორგანიზაციის საფირმო ლოგოს დამზადებაში.

5. მისურზე, ჭიქაზე ფერად ბეჭდვას თქვენი დიზაინით, სარკვეზე გრავირებას. ანგარიშსწორება ნაღდი და ვალარიცხვით. დაწვრილებით ინფორმაცია ჩვენს საიტზე: WWW.madstudio.ge email: madstudioge@yahoo.com support@madstudio.ge 599 172622. საგარეჯო.

გსოლოდ გყავ უნდა მოუკითხილავა?!

იქნავ თითოეულ უნიკალურ ჭიკს და ინდივიდსაც...

დასასრული

ამბობენ (სახლდარგარეთ) იარაღის უღამაზეს ტარს აკეთებენ?! რა იცი, იქნებ იმ იარაღის ტარი მისმა მფლობელმა სწორედ შენი ქვეყნისაკენ, შენი ოჯახისაკენ შემოატრიალოს? რა იცი?!

იქნებ იმის ცოდნა სჯობდეს, ერთი ხე 100-200 და ზოგჯერ 400 კგ ნაყოფსაც რომ იძლევა? იქნებ დიდდეს მიხედო, მოუარო, მოწვეული მოსავალი კი შენს ოჯახს უფრო წაადგეს ყოველწლიურად, ვიდრე ის ერთხელ, ერთჯერადად აღებული 100 დოლარი. ისიც საინტერესოა, შენმა მამა-პაპამ კაკლის ხე რომ დარგო, ხომ შენთვის, შენი სიკეთისათვის იფიქრა – საწრდილობლად და შემოსავლიან კვების პროდუქტად?!

იყიდება, იყიდება ყველაფერით, ამბობენ საქართველოში. ისევე ჩვენ, ქართველები არ ვყიდით?!

ლავე შეიქმნა. მასში ძირითადად საგარეჯოელი მწვრთნელების რეზო ხებრელაშვილის, გოგა მისურაძისა და გია ილაურის აღზრდილი ფეხბურთელები არიან გაერთიანებული. საგარეჯოელები არიან მეკარეები – ანიკო ბუხარიაშვილი და ზვიად დარისპანაშვილი.

მართალია „გარეჯოს“ ამ გუნდს (მწვრთნელები: დ. მისურაძე, ელ. კონიაშვილი, გ. ილაური) შეკრება არ გაუქვია, მაგრამ სექტემბრიდან უკვე ჩაება II ლიგის გათამაშებაში. როგორც მწვრთნელმა რეზო ხებრელაშვილმა გვაცნობა, სადღეისოდ მის ანგარიშზეა 4 მოგება, 1 ფრე და სამი წაგება. საგულისხმია, რომ მათ გასვლით თამაშში მოგებული აქვთ ლიგის გათამაშების ლიდერთან – სართიჭალის გუნდთან. ასევე დამარცხებული ჰყავთ აფხაზეთის გუნდი, ხოლო თბილისის „ფიტ-ჯორჯიასთან“ გასვლითი თამაში ფრედ დაამთავრეს.

მიუხედავად რთული ფინანსური და სხვა პრობლემებისა, გარეჯის ფეხბურთელები კვლავ აქტიურად არიან ჩაბმული გათამაშებაში და იმედით შეჰყურებენ ახალი წლის დადგომას, როცა გადაწყდება მათი ფინანსური პრობლემები.

ბ. ლაბახიშვილი

გადლოვა ყველას, ზინც სიცოცხლე დამიბრუნა

86 წლის მძიმე ავადმყოფი „ჯეოპოსპიტალს“-ის (მენუჯერი კოტეჯრემლიძე) საგარეჯოს კლინიკაში მიმიყვანეს. საავადმყოფოს ექიმმა ქირურგებმა, მედიცინის მეცნიერებთა დოქტორმა გივი ცეცხლაძემ, ბადრი კელენჯერიძემ და ვაჟა თევზაძემ მიიღეს სასწრაფო გადაწყვეტილება ოპერაციის ჩასატარებლად. მოსამზადებელი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ ჩამიტარეს მეტად რთული ოპერაცია და ყველა ღონისძიება მიიღეს, რათა წარმატებით დამთავრებულიყო, რადგან ყველა წუთი მოხუცი აღამიანის სიცოცხლის ბედს წყვეტდა. მედიცინის მეცნიერებთა დოქტორის ბადრი კელენჯერიძისა და მედიცინის მეცნიერებთა დოქტორის გივი ცეცხლაძის დიდმა პროფესიონალურმა გამოცდილებამ და ანესთეზიოლოგის დავით ლალიაშვილის დიდმა გამოცდილებამ, ასევე ექთან-ასისტენტების ნუნუ გიუნაშვილის, ელისო ტოპეშაშვილის, თეა კველიშვილის, თეა ჩერტოკოვას, მარინე ხაბაზიშვილის, დარეჯან დიდმელაშვილის, თამარიკო ლოლაძის, მთელი ტექნიკური მუშაკების პროფესიულმა გამოცდილებამ და მონდობამ ჩემი რთული ოპერაცია და ოპერაციის შემდგომი პერიოდი წარმატებით ჩაატარა და მე, 86 წლის ღრმად მოხუცს სიცოცხლე მანუქეს, რისთვისაც მათ უძილო დამეგობი გაატარეს. დიდი მადლობა ჩემს მიმართ გაწეული დიდი ზრუნვისათვის.

მადლობას ვუცხადებ მთელ ჩემს სამეგობროს, ნათესავებსა და ყველას, ვინც მამხნევებდა, სულიერ და მატერიალურ დახმარებას მიწევდა, მადლობას ვუხდის ჩემი ოჯახის ექიმს ქნ მანანა ბურდულს, რომელიც ყურადღებას არ მაკლებდა.

სიცოცხლის დაბრუნებით მე შემოქმედებითი შესაძლებლობა მომეცა გავაცოცხლო ჩვენი რაიონის დიდი ისტორიის უცნობი ფურცლები.

ალექსანდრე ელერაშვილი, სწავლული ისტორიკოსი, დამსახურებული მწიგნობარი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი: თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

